სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ავთანდილ მეცხვარიშვილი

# სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა მიმართ 2008-2019 წლებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

საჯარომ მართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

გორი

2019

# ანოტაცია

ჩვენი საკვლევი ნაშრომი „**სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა მიმართ 2008-2019 წლებში**", შეეხება საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებს და სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ პოლიტიკას აღნიშნულის აღმოსაფხვრელად. **კვლევის მიზანი**გახლდათ შეგვესწავლა შემდეგი საკითხები: დევნილის სტატუსის მინიჭება, აღდგენა და ჩამორთმევა, ასევე გამოსახლება და გასახლება, კონპენსაცია და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, აქედან გამომდინარე ჩვენი საკვლევი თემა **აქტუალურად მიმაჩნია.** ჩატარებული **კვლევის ამოცანაა**იმის ჩვენება, რომ საქართველოში დევნილთა პრობლემები აქტუალური და სპეციფიკურია და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების გატარებას და გამოვლენილი საჭიროებების მოგვარებას. ჩატარებული **კვლევის საგანია** საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. **კვლევის ობიექტია** საქართველოს ეროვნულ არქივში და ეროვნულ ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნადი ფონდი, ასევე საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის **ძირითად შედეგად** ვამტკიცებთ იმას, რომ საქართველოში დევნილთა პრობლემები დღესაც მწვავედ დგას მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯისა. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ქმედითი ნაბიჯები: აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები, გამოვლინდეს დევნილთა პრობლემები და საჭიროებები და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები აღნიშნულის მიმართულებით. ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევის სიახლე** გახლავთ ჩვენება იმისა, რომმიუხედავად არაერთი რეფორმისა და ქმედითი ნაბიჯისა სახელმწიფოს მხრიდან, აღნიშნული პრობლემა მაინც მწვავედ დგას დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე.

კვლევის პროცესში **გამოვიყენეთ** ზოგადმეცნიერული **მეთოდები,** კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა, კვლევა და ანალოგია.

# Annotation

**"State policy towards IDPs in 2008-2019 years"**

**Avtandil Metskhvarishvili**

Our research work **"State policy towards IDPs in 2008-2019 years"**concerns the problems of IDPs in Georgia and the policy developed by the state to eradicate it.**The aim of the research** was to study the following issues: granting IDP status, recovery and seizure, also eviction and expulsion, compensation and providing long-term living space, therefore, I think our research topic is actual. **The task of a conducted research** is to show, that the problems of IDPs in Georgia is actual and specific and requires reforms from the state and solving the identified needs.**The subject of the research** is to identify the needs of **IDPs** in Georgia and issue relevant recommendations.**The object of the research is** the book fund saved in Georgian national archeological archive and national library, also information placed on the official website of Georgian government.**As a main result** of our research we prove that the problems of IDPs in Georgia are still acute despite the many important steps taken by the state.The state needs to take the next effective steps: to eradicateexisting shortcomings, identify IDPs problems and needs and take effective steps towards this.**The novelty of this research** is to show that,despite many reforms and effective steps from the state, this problem is still acute in our country.

In the process of the research we **used** the general scientific **methods**, namely: analysis and synthesis, observation, comparison, hypothesis, research and analogy.

# სარჩევი


**შესავალი ----------------------------------------------------------------------------------------- 5**

**თავი 1. დევნილის სტატუსის მინიჭება და არსებული პრობლემები --------------------- 7**

1.1. დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემატიკა დევნილებისათვის და კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ------------------------------------------------------------------------- 7

1.2. დევნილთა სტატისტიკა სტატუსის ჩამორთმევის, შეწყვეტისა და აღდგენისშესახებ ---------------------------------------------------------------- 13

**თავი 2. დევნილებისათვის კონპენსაციის გაცემა, გამოსახლება და განსახლება -------- 17**

2.1. დევნილი მოსახლეობისათვის კონპენსაციის გაცემა და ოჯახების ხელოვნურად გაერთიანების პრობლემა ---------------------------------------- 17

2.2. დევნილთა გამოსახლება კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან და დროებითი თავშესაფრებიდან ------------------------------------------------ 18

**თავი 3. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკა ---------------------------------------------------------------------------- 25**

3.1. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება ----------------------------------------- 25

3.2. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი და კრიტერიუმები ------------------------------------------------------------------ 28

3.3. დევნილი ოჯახებისთვის იპოთეკური სესხის დაფარვის პროექტი ----------- 51

**დასკვნა ------------------------------------------------------------------------------------------- 53**

**გამოყენებული ლიტერატურა ------------------------------------------------------------- 55**

# შესავალი

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი „სახელმწიფოს პოლიტიკა დევნილთა მიმართ 2008-2019 წლებში“,ეხება ომის შემდგომ დაზარალებული დევნილი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

**საკვლევი თემის აქტუალობა:** თემა აქტუალურია იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში დევნილთა პრობლემები 1990 - იანი წლებიდან მოყოლებული დღესაც მწვავედ დგას. სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად დევნილთა პრობლემები ისევ აქტუალურია და საკმაოდ დიდია დევნილთა რაოდენობა, რომლებსაც სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ფართები ჯერ კიდევ არ მიუღიათ.

დღეს დევნილთა საკითხი საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა არაერთი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დევნილი მოსახლეობისათვის იპოთეკური სესხების დაფარვას და „სოფლად სახლის“ პროექტს.

ნაშრომში განხილულია კანონები და კანონოროექტები, ასევე პუნქტები, რომლის მიხედვითაც ხდება დევნილთა პრობლემების მოგვარება.

ნაშრომში განხილული სიახლე წარმოადგენს აქტუალურ თემას და მოიცავს მნიშვნელოვან საკითხებს საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ. აღნიშნული საკითხები აქტუალური და მნიშვნელოვანია დევნილთა პრობლემების განხილვის და მოგვარების მიმართულებით. საქართველოს მთავრობის მირ გამოცემული განკარგულებების და კანონპროექტების გათვალისწინებით ხორციელდება

მნიშვნელოვანი ქმედებები, როგორიცაა დევნილთა სტატუსის მინიჭება და საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება.

**ნაშრომის ძირითადი მიზანია:** ომის შემდგომ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და მისი გატარების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან, სახელმწიფოს მიერ დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების ანალიზი და შეფასება, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა.

**კვლევის საგანი:** იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენა, შესწავლა და შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება. დევნილის სტატუსის მინიჭება, ჩამორთმევა და აღდგენა, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, კონპენსაცია.

**კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** ნაშრომი დამუშავებულ იქნა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. ასევე საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაციით და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებებით და დებულებებით, ნაშრომში გამოყენებულია ინტერნეტ რესურსები.

# თავი 1. დევნილის სტატუსის მინიჭება და არსებული პრობლემები

## 1.1 დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემატიკა დევნილებისათვის და კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის

საქართველოს კანონი - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადილებულ პირთა" - დევნილთა შესახებ, ტერმინს დევნილს განმარტავს შემდეგნაირად: დევნილად ითვლება (იძულებით გადაადგილებულ პირად), „საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ან თავისუფლებას ან /და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება".

საქართველოს კანონი - „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსებისშესახებ"- „ლტოლვილის სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არ მქონე პირი, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნილის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეულ სოციალური

ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით“.

სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები დევნილთა მიმართ ყოველთვის და დღესაც წარმოადგენს ინტერესის საგანს, რადგან დევნილებს დღესაც ბევრი პრობლემის წინაშე უხდებათ ბრძოლა, მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში გამოიცა არაერთი ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს დევნილობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაინც რჩება პრობლემები და ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის დევნილებს, როგორც სტატუსის მინიჭებაში, ასევე სხვა სახის პრობლემების მოგვარებაში. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგას სწორი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა თავიდან იქნეს აცილებულიმნიშვნელოვანი პრობლემები და შემცირებულ იქნას მნიშვნელოვნი ხარვეზები, რომელიც ძირითადად გამოწვეულია არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზით.

2011 წლის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგულებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო“ - სმონაცემებით 247000 პირი დევნილი ცხოვრობდა საქართველოში 90-იანი წლების მოვლენების შემდეგ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, რომელიც აგვისტოს ომად მოიხსენიება და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორი ომი მხოლოდ 5 დღე იყო, მაინც მნიშვნელოვანი დარტყმა და პრობლემები გამოიწვია საქართველოში, რადგან დაიღუპა 408 ადამიანი, აქედან: 224 მშვიდობიანი მოქალაქე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი 14 და 170 სამხედრო მოსამსახურე. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგულებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო“ - ს მონაცემებზე დაყრდნობით ომის შედეგად დაშავდა და დაიჭრა 2332 ადამიანი, მათ შორის 1054 სამხედრო მოსამსახურე. საცხოვრებელი ადგილი პირველ ეტაპზე დატოვა 130000-მა ადამიანმა, მაგრამ მოგვიანებით ნაწილმა ომის შედეგად სახელმწიფო მნიშვნელოვანი პრობლემის და გადაწყვეტილების წინაშე დადგა, რადგან მას უნდა მოეგვარებინა 26000 ახალი დევნილის პრობლემა.

სახელმწიფოს მოუწია დევნილებთან დაკავშირებით სტრატეგიების შემუშავება და ორი მთავარი მიზნის გამოყოფა:

- ხელი შეეწყო დეევნილი მოსახლეობის ინტეგრირებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეექმნაპირობები და ხელი შეეწყო მათი ღირსეული ცხოვრებისთვის;
- შეექმნა დევნილი მოსახლეობისთვის პირობები, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებლებს უსაფრთხოდ და ღირსეულად.

აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა, რაც რეალურად უფრო ამძიმებს იმ პირების მდგომარეობას,რომლებისთვისაც რეალურად საჭიროებას წარმოადგენს დევნილების სტატუსის მინიჭება. პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით გამოვლინდა:

- პირებმა რომლებმაც 10000 აშშ დოლარი აიღეს სახელმწიფოსაგან, საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ 2008 წლის ომის შედეგად;
- იძულებით გადაადგილებული პირები 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რომლებიც ცხოვრობდნენ (ცხოვრობენ) კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფელში;
- საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები, უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად;
- დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული აღუსრულებლობა.

დევნილის სტატუსის მინიჭებაზე პრობლემები შეექმნათ იმ პირებს, ვინც სახელმწიფოსგან საკომპენსაციო თანხა აიღეს, სახელმწიფოს მიერ ფართის სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ თვითონ შესთავაზა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განსახლების რამდენიმე ფორმა:

- საკომპენსაციო თანხა 10000 აშშ დოლარი, საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ;
- სახელმწიფოსგან: შესყიდული, აშენებული და რეაბილიტირებული საცხოვრებელი ფართები.

2009 წლის ივლისში„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგულებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო" -ს ინფორმაციით, სახელმწიფომ დევნილი მოსახლეობისათვის:

- შეისყიდა 453 საცხოვრებელი ფართი;
- ააშენა 3963 საცხოვრებელი კოტეჯი;
- 1500 ბინას კი რეაბილიტაცია გაუკეთა.

სახელმწიფოსაგან ამ პირობების შექმნის შემდეგ 5753 ოჯახი დაკმაყოფილებული იქნა და 18866 ადამიანს პირობები მეტ-ნაკლებად მოუგვარდათ. 2011 წლის აპრილის თვის მონაცემებით, მსგავს საცხოვრებლეში 19229 პირი იყო უკვე რეგისტრირებული. სახელმწიფოსაგან დევნილმა მოსახლეობამ, რომლებმაც 10000 აშშ დოლარი აირჩიეს საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობდა სხვადასხვა სახით, შეექმნათ დევნილობის სტატუსის მინიჭებასთან პრობლემები, განსხვავებით იმ დევნილი მოსახლეობისაგან რომლებმაც სახელმწიფოსაგან აირჩიეს შეთავაზებული საცხოვრებელი ფართები. სამინისტრომ დევნილის სტატუსი არ მიანიჭა იმ პირებს ვინც კომპენსაცია აიღო და ამით  შეაფერხა სპეციალურად პროცესი სტატუსის მინიჭებისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, რომელიც ეხება „იძულებით გდაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ", რომლის თანახმადაც - „დევნილად ითვლება (იძულებით გადაადგილებულ პირად), „საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ან თავისუფლებას ან /და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება". კანონიდან გამომდინარე სამინისტროს ამ პირებისთვისაც  უნდა მიენიჭებინა დევნილის სტატუსი, რაც არ განხორციელდა და რის შედეგადაც აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია თვეებისა და წლების განმავლობაში დევნილი მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების

გამწვავება. მათ ასევე დაკარგეს, დევნილებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური შემწეობა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ 26000 იძულებით გადაადგილებულ პირიდან დევნილის სტატუსი სამინისტრომ ეტაპობრივად მიანიჭა:

- 2009 წლის ოქტომბრის თვისმონაცემებით - 12112 ადამიანს;
- 2010 წლის თებერვლის თვის მონაცემებით - 15497 ადამიანს;
- 2011 წლის აპრილის თვის მონაცემებით - 17714 პირს;
- 3591 პირი წარმოადგენს დევნილების კატეგორიას, როლებმაც საკუთარი საცხოვრებელი ფართები დატოვეს 1991-1992 წლებში და მათ სტატუსი მინიჭებული ჰქონდათ.

დევნილის სტატუსის მინიჭებაზე პრობლემები შეექმნათ ასევე იმ პირებასც, რომლებიც კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი საცხოვრებელი ადგილები ისევე, როგორც ოკუპირებული ტერიტორებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებმაცკონფლიქტის მიმდებარე ტერიტორია დატოვეს: ხურვალეთის; ზარდიაანთკარის, ქვეშის, ერგნეთის,გუგუტიაანთკარის, ზემო ნიქოზის და სხვა სოფლების მოსახლეობამ და მათი ნაწილი დღესაც ვერ უბრუნდება საკუთარ საცხოვრებელ ადგილს და აღნიშნული მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს შიდა - ქართლში არსებულ სხვადასხვა შენობებში(ბაგა-ბაღში) და სახელმწიფოს დღემდე არ აქვს მათ მიმართ გატარებული კონკრეტული ღონისძიებები. რაც ეხება საკუთარ სახლებში დაბრუნებას და/ან დევნილის სტატუსის მინიჭებას. მოსახლეობამ შესძლო ეტაპობრივად საკუთარ სახლებში დაბრუნება, თუმცა სამწუხაროდ, ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი დღემდე უკან ვერ ბრუნდება, უსაფრთხოების, სოციალურ-ეკონომიკური, მოუწესრიგებელი საცხოვრებელი ადგილის გამო.

საქართველოს კანონი - „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილის შესახებ“, მართალია დევნილის სტატუსის მინიჭებას პირდაპირ არ უკავშირებს ოკუპირებილი ტერიტორიებიდან გადაადგილებას, მაგრამ საყურადღებოა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ, რომლის თანახმადაც, იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ - „დაცული იყვნენ

იძულებით დაბრუნებისაგან ან დასახლებისაგან ისეთ ადგილას, სადაც მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, თავისუფლებას და/ან ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება“. სახელმწიფოს მხრიდან დღემდე არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, რათა აღნიშნული მოსახლეობა დაუბრუნდეს საკუთარ სახოვრებელ სახლებს. გორის რაიონ სოფელ ზარდიაანთკარში, მცხოვრები პირები გაძარცვულ, დანგრეულ, საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ 10 წელზე მეტი გავიდა პრობლემა ისევ პრობლემად რჩება და ომისაგან მიყენებული ზარალი იმდენად დიდია, რომ მოსახლეობა საკუთარი სახსრებით ვერ აგვარებს პრობლემას.

დევნილის სტატუსის მინიჭების/აღდგენის პრობლემა შეექმნათ უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებსაც, მიუხედავად იმისა, რომ 2004 წელს ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციაში და ასევე ორგანულ კანონში, რომელიც ეხება საქართველოს მოქალაქეობას და ეს ცვლილებები, რომელიც შეეხება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას იმ პირებისათვის, რომლებსაც საქართველოს წინაშე აქვთ განსაკუთრებული დამსახურება, ან მოქალაქეობის მინიჭება შედის საქართველოს ინტერესებში, ასეთ პირებს შესაძლებლობა მიეცა ყოფილიყვნენ საქართველოს მოქალაქეებიც და უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც. ამ ცვლილებებმა შესაძლებლობა მისცა ასევე იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, ჰქონოდათ როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეობა, ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეობაც მიეღოთ, რითაც აღიდგენდნენ საქართველოსთან პოლიტიკურდა სამართლებრივ ურთიერთობას. მიუხედავად ამ ცვლილებებისა დევნილის სტატუსის მიღებამ ან აღდგენამ გარკვეული პრობლემები მაინც შექმნა და ბევრ ადამიანს პრობლემები შეუქმნა, ამ მხრივ გამოიკვეთა ორი მთავარი პრობლემა უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მქონე იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ:

- დევნილის სტატუსი მინიჭებული ჰქონდათ იძულებით გადაადგილებულ პირებს, მაგრამ უცხო ქვეყნის მოქალაქეობისმიიღების შემდეგ შეუწყდათ დევნილის სტატუსი;
- იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებსაც არ ჰქონდათ დევნილის სტატუსი. დღესდღეობით აღნიშნული პრობლემა შედარებით მოწესრიგებულია, რასაც კანონი არეგულირებს.

დევნილის სტატუსის მინიჭებაზე პრობლემები შეექმნათ ასევე იმ პირებს, რომელთა საქმეც სასამართლოში იყო გადაგზავნილი განხილვაზე, რადგან დევნილის სტატუსი არ მიენიჭა და მათ სასამართლოს მიმართეს.სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მათი აღსრულება სავალდებულოა ყველა პირისთვის და ორგანოსთვის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც არ ხდება დევნილთა სტატუსის მინიჭება არსებული განხილვების შედეგადაც კი.

## 1.2 დევნილთა სტატისტიკა სტატუსის ჩამორთმევის, შეწყვეტისა და აღდგენის შესახებ

დევნილის სტატუსის ჩამორთმევა, შეწყვეტა და აღდგენა ერთ-ერთმნიშვნელოვან პრობლემად გვევლინება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“- განსაზღვრავს, როგორც დევნილის სტატუსის მინიჭებას, ისე შეწყვეტას და ჩამორთმევას და აღდგენას. ამ კანონის მე-10 მუხლი განსაზღვრავს თუ ვის შეიძლება სტატუსი შეუწყდეს ან ჩამოერთვას და აღუდგეს:

1. პირს დევნილი სტატუსი შეუწყდება, თუ: ა) მას პირადი განცხადების საფუძველზე მოეხსნა დევნილის სტატუსი;

ბ) მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე აღმოიფხვრა ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზი;

გ) მას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;

დ) მან, როგორც საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა, მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

ე) სასამართლომ იგი აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) ამ კანონის საფუძველზე წინასწარ გამოცხადებულ ვადაში მან არ გაიარა დევნილთა რეგისტრაცია;

ზ) პირი გარდაიცვალა.

2. პირს დევნილის სტატუსი აღუდგება, თუ:

ა) სასამართლომ გააუქმა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება;

ბ) მას დევნილის სტატუსი შეწყვეტილი ჰქონდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა;

გ) მას დევნილის სტატუსი შეწყვეტილი ჰქონდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე და პირადი განცხადებით კვლავ მოითხოვა დევნილის სტატუსის მინიჭება;

დ) მას დევნილის სტატუსი შეწყვეტილი ჰქონდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე და პირადი განცხადებით კვლავ მოითხოვა დევნილის სტატუსის აღდგენა.

3. პირს დევნილის სტატუსი ჩამოერთმევა, თუ მან ეს სტატუსი ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე მიიღო.

4. პირისათვის დევნილის სტატუსის შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საკითხებს წყვეტს სამინისტრო.

5. პირისათვის დევნილის სტატუსის შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის თაობაზე დავებს წყვეტს სასამართლო."[1]

---

[1]https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244506?publication=4საქართველოს კანონი - „ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ"

2018 წლის აპრილის მონაცემებით დევნილად რეგისტრირებულია 277403 პირი. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგულებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო“ - ს მიერ 2014-2017 წლებში ჩამორთმეული და შეწყვეტილი დევილთა სტატისტიკა მნიშვნელოვნად აქტუალურია, რადგან 1232 პირს დევნილის სტატუსი შეუჩერდა 2014 – 2017 წლებში.აღნიშნული მიმართულებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს დაფიქსირდა, 625 ადამიანს ჩამოერთვა დევნილის სტატუსი. დევნილის სტატუსი შეუჩერდათ იმ პირებსაც, რომლებმაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღეს და ასეთი პირების რაოდენობა ყველაზე მეტჯერ 2016 წელს დაფიქსირდა. დევნილისსტატუსი შეუწყდა 17177 პირს.[2]დევნილთა ახალი რეგისტრაციის და საქართველოს მთავრობის N 794 განკარგულების საფუძველზე, რომელიც მოიცავდა 2013 წლის 1 აგვისტოდან - 27 დეკემბრის ჩათვლით იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციას და ახალი მოწმობის გაცემას, მინისტრის ბძანებულებით 2014 წლის 1 ივნისამდე გაგძელდა. ამის მიუხედავად რეგისტრაციასაც პრობლემები მოჰყვა,რადგან პირიქით, შემცირდა დევნილების რაოდენობა ვიდრე მოიმატა. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე განხორციელდა:

- დევნილების და დევნილი ოჯახების განსაზღვრა;
- ფაქტიური მისამართების დადგენა;
- დევნილთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად სტრატეგიების შემუშავება და გადაწყვეტილება;
- სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესწავლა და განსაზღვრა;
- ელექტრონული ბაზის განახლება და ახალი ინფორმაციის ფორმირება;
- მოწმობების გაცემა დევნილებისთვის;
- დევნილთა დაჯგუფება მიზნობრივად, რათა შემდგომ განხორციელდეს მათი დახმარება;
- კანონის დარღვევით დევნილის სტატუსის მქონე პირების გამოვლენა.

[2]https://idfi.ge/ge/idps_in_georgia_statistics - დევნილთა სტატისტიკა სტატუსის ჩამორთმევის, შეწყვეტისა და შემოსავლების მიხედვით

2013 წელს რეგისტრაციის ხელახლა დაწყებამდე დევნილთა ბაზაში რეგისტრირებული იყო 271832 ადამიანი, ხელახალი რეგისტრაციის შედეგად მონაცემები მნიშვნელოვნად შეიცვალა და დევნილთა რაოდენობამ შეადგინა 262285 პირი.რადგან, როგორც ავღნიშნეთ 17177 ადამიანმა ვერ გაიარა სავალდებულო რეგისტრაცია და დევნილის სტატუსი შეუწყდათ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელახალმა რეგისტრაციამ გამოავლინა მნიშვნელოვანი დარღვევები:

- დევნილის მოწმობის გაყალბება;
- სახელის და გვარის გაყალბება;
- ერთ დევნილზე რამდენიმე მოწმობის არსებობა;
- დევნილის მოწმობაში ფოტოსურათის შეცვლა და სხვა.

2014 წელს განხორციელდა პროექტი იუსტიციის სამინისტროს მიერ, რომელიც მოიცავდა ამინისტიას და რეგულაცია აისახა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგულებულ პირთა, განსახლებისა და ტოლვილთა სამინისტრო“ - ს მიერ, რომელიც მოიცავდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებას იმ პირების მიმართ, რომლებსაც აღნიშნული კანონდარღვევა აღმოუჩინეს. ეს ეხებოდათ მხოლოდ მათ ვინც ნებაყოფლობით აღიარებდა დანაშაულს, მაგრამ არ ეხებოდათ იმ პირებს რომლებმაც დევნილის სტატუსის გაყალბების გზით მიიღეს ფულადი კომპენსაცია ან საცხოვრებელი ფართი. კანონი, რომელიც ეხებოდა ამინისტიას განხორციელდა 2014 წლის 1 იანვრიდან და გაგძელდა 2015 წლის 1 იანვრამდე და ამ პერიოდში ამინისტია შეეხო 367 ადამიანს. მათგან დევნილის სტატუსზე უარი განაცხადა 175 - მა ადამიანმა საკუთარი განცხადების საფუძველზე.[3]

დევნილის სტატუსი ჩამოერთვა:

| **წელი** | **პირთა რაოდენობა** |
|---|---|
| 2014 | 380 |

[3]http://mra.gov.ge/res/docs/201503241009041259 4.pdfსაქართველოსოკუპირებულიტერიტორიებიდანიძულებითგადაადგილებულპირთა, განსახლებისადალტოლვილთასამინისტროს 2014 წლისანგარიში;

| | |
|---|---|
| 2015 | 625 |
| 2016 | 128 |
| 2017 | 61 |

დევნილის სტატუსი 2014 წელს ჩამოერთვა - 380 ადამიანს; 2015 წელს დევნილის სტატუსი ჩამოერთვა - 625 ადამიანს; 2016 წელს დევნილის სტატუსი ჩამოერთვა - 128 ადამიანს; 2017 წელს კი დევნილის სტატუსი ჩამოერთვა 61 ადამიანს. სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელობის გამო მართალია 17177 ადამიანს დევნილის სტატუსი შეუწყდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 55667 ადამიანმა მომდევნო 3 წლის განმავლობაში შეძლო დევნილის სტატუსის აღდგენა.[4]

# თავი 2. დევნილებისათვის კონპენსაციის გაცემა, გამოსახლება და განსახლება

## 2.1 დევნილი მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემა და ოჯახების ხელოვნურად გაერთიანების პრობლემა

დევნილებისათვის კომპენსაციის გაცემა რეგულირდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული 2008 წლის 25 დეკემბრის, 2009 წლის 19 თებერვლის, 2019 წლის 24

[4] https://idfi.ge/ge/idps_in_georgia_statistics - დევნილთა სტატისტიკა სტატუსის ჩამორთმევის, შეწყვეტისა და შემოსავლების მიხედვით

ივლისის, 2010 წლის 3 ივლისის განკარგულებებით, რომლის თანახმადაც კომპენსაციას მიიღებს ის პირი/ოჯახი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომისგან უსახკლაროდ დარჩა და უარი განაცხადა სახელმწიფოსგან შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართებზე, რომელიც სახელმწიფო სხვადასხვა მიმართულებით სთავაზობდა. სახელმწიფომ შესთავაზა ახალი აშენებული საცხოვრებელი ფართები, რეაბილიტირებული საცხოვრებელი ფართები და შესყიდული საცხოვრებელი ფართები, აღნიშნულის მიუხედავად დევნილმა პირებმა გადაწყვიტეს კომპენსაციის მიღება და უარი თქვეს სახელმწიფოსგან შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართებზე.მიუხედავად ამისა პრობლემები მაინც შეიქმნა კომპენსაციის გაცემის დროს.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგულებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო“ - ს 2011 წლის მონაცემებით კომპენსაცია აიღო 5105 - მა ადამიანმა/ 2000 ოჯახმა. 2011 წლის 28 თებერვალს სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც საუბარია იმაზე რომ კომპენსაციის გაცემა დასრულებულია, არადა დარჩნენ ის პირები ვისაც კანონმდებლობა ძლევდა შესაძლებლობას კომპენსაციამიეღოთ. კომპენსაციის გაცემის პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოიშვა ზემოთ აღნიშნულ განკარგულებებიდან გამომდინარე, რადგან ეს განკარგულებები ბუნდოვანი იყო, განკარგულებაში ოჯახის ცნება არ არის განმარტებული, რასაც შემდგომ მოყვება პრობლემა ოჯახების ხელოვნურად გაერთიანების, ასევე არ არის კარგად დადგენილი პროცედურა, რომელიც მისცემდა შესაძლებლობას თუ როგორ უნდა მოხდეს კომპენსაციის გაცემა. ერთ-ერთ პრობლემად გვევლინება ასევე საკომლო წიგნების არარსებობა, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, აღნიშნული წიგნები განადგურდა და ოჯახის შესახებ მონაცემების დადგენა პრობლემური გახდა. პრობლემები გამოიწვია ასევე „ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ“ მიწოდებულმა ინფორმაციამ და ცნობების არასანდოობამ, რომელიც ზოგშემთხვევაში არაზუსტია და ეწინაღმდეგება მათ მიერ სხვა გაცემულ ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, სამინისტრომ ცალკე ოჯახებად/კომლებად რეგისტრირებულ და-ძმებს, მშობლებს და შვილებს შესთავაზა ერთ ოჯახად გაერთიანებულიყვნენ და აეღოთ საკომპენსაციო თანხა და არა ცალ-ცალკე. ნაწილი

მართლაც გაერთიანდა და დასთანხმდა სამინისტროს შეთავაზებას, ხოლო ნაწილმა უარი განაცხადა ხელოვნურად გაერთიანებაზე ოჯახების და არ აიღო საკომპენსაციო თანხა, რამაც ბევრი რიგი პრობლემები შეუქმნა დევნილ მოსახლეობას წლების განმავლობაში. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო არ აძლევდა ცალ-ცალკე კომპენსაციას მამა-შვილს, მიუხედავად იმისა რომ მათ  ყველა დოკუმენტაცია მიაწოდეს სამინისტროს, საიდანაც ირკვეოდა, რომ მამა-შვილი მართლაც ცხოვრობდნენ სხვადასხვა ოჯახებად და საცხოვრებელი ფართი სხვადასხვა ჰქონდათ, ამის მიუხედავად სამინისტრომ ცალ-ცალკე კომპენსაციაზე უარი განუცხადა, ამის გარდა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამინისტრომ საკომპენსაციო თანხა გადაურიცხა კონკრეტულ ოჯახებს, მაგრამ მოგვიანებით ეს საკომპენსაციო თანხა უკან დაიბრუნა და თან არც აცნობა ამ ოჯახებს თუ რატომ დაიბრუნა საკომპენსაციო თანხა უკან.

## 2.2 დევნილთა გამოსახლება კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან და დროებითი თავშესაფრებიდან

დევნილი მოსახლეობის გამოსახლება 2010-2011 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც კომპაქტური საცხოვრებელი ფართებიდან,ასევე დროებით თავშესაფრებიდან. საქართველოს კანონი: „იძულებითგადაადგილებულ პირთა/ დევნილის შესახებ“, ამ კანონიდან ირკვევა რომ დევნილი მოსახლეობის გამოსახლება არ ხორციელდება მანამდე, თუ სახელმწიფომ თავისი იურისდიქცია არ აღიდგინა კონკრეტულ ტერიტორიაზე, მგრამ დევნილი მოსახლეობის გამოსახლება შეიძლება განხორციელდეს კომპაქტურად განსახლების საცხოვრებელი ფართებიდან იმ შემთხვევაში როდესაც:

- დევნილ მოსახლეობასთა ხდება წერილობითი შეთანხმება საცხოვრებელი ფართის დატოვების;

- გამოიყოფა სხვა საცხოვრებელი ადგილი/ფართობი, რომელიც არ აუარესებს საყოფაცხოვრებო პირობებს;
- მოსალოდნელია სტიქიური უბედურება, რომლითაც საფრთხე ექმნება ადამიანებს და ეს რეგულირდება კანონით;
- დევნილ მოსახლეობას საცხოვრებელი ფართი დაკავებული აქვთ თვითნებურად, კანონის დარღვევით.

დევნილების გამოსახლება ჯერ კიდევ 2010 წლის ივნისში განხორციელდა, როდესაც 24 ოჯახი გამოასახლეს ქ. თბილისში მდებარე, თვალაჭრელიძის ქ. N 2- ში მდებარე საცხოვრებელი შენობიდან და გადაიყვანეს ქ.თბილისის, საყვირიძის N 2- ში მდებარე შენობაში. მართალია დევნილების გამოსახლება დაიწყო კომპაქტურად განსახლების ობიექტიდან, მაგრამ მეორეს მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არ მოიპოვებადევნილების საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ ინფორმაცია - გაუმჯობესდა თუ გაუარესდა, რადგან არ ხდება კონკრეტულად შესწავლა და პრობლემების აღმოფხვრა, რადგან კანონით არ არის გაწერილი და დაკონკრეტებული შესაბამისი ნორმები, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სოციალური პირობების გაუმჯობესებად ან პირიქით გაუარესებად.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, საქართველოს დევნილი მოსახლეობის ახალი ნაკადი მიემატა და საქართველოს ხელისუფლებას მოუწია თავშესაფარი გამოეყო თბილისსა და რეგიონებში. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში დევნილ მოსახლეობას დროებით თავშესაფარი გამოეყო. მოგვიანებით სახელმწიფომ დევნილ მოსახლეობას შესთავაზა საცხოვრებელი ფართები: ახლად აშენებული კოტეჯები; კორპუსის ტიპის საცხოვრებელი სახლები. დევნილი მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული საცხოვრებელი ფართები აირჩიეს, მოუწიათ დაეტოვებინათ დროებით თავშესაფრები, ხოლო ვინც არ დასთანხმდა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ახლად რეაბილიტირებულ, ახლად აშენებულ ან შესყიდულ საცხოვრებელ ფართებს და გადაწყვიტეს სახელმწიფოსგან კომპენსაცია მიეღოთ, დროებით თავშესაფარში აგრძელებდნენ ცხოვრებას მანამ/სანამ სახელმწიფოსგან არ მიიღებდნენ საკომპენსაციო

თანხას. დროებით თავშესაფრებში დევნილი მოსახლეობის რამდენიმე კატეგორია შეიძლება გამოვყოთ:

- ახალი დევნილები 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რომლებიც ელოდნენ კომპენსაციას სახელმწიფოსგან და უარი განაცხადეს, შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართებზე;
- დევნილი პირები 1989-1993 წლებში, რომლებიც ცხოვრობდნენ ქირით, ნათესავებთან ან დარეგისტრირებულები იყვნენ კერძო სექტორში ან რეგისტრირებულები იყვნენ კოლექტიურ ცენტრებში;
- დევნილი პირები 1989-1993 წლებში რომლებიც დაკმაყოფილდნენ ინვესტორების მიერ კომპენსაციით, თუმცა თანხის სიმცირის ან სხვა მიზეზებით ვერ მოახერხეს სახლის შეძენა.

დევნილების გამოსახლების პირველი ტალღა განხორციელდა 2010 წლის ივლის-აგვისტოში, ქ.თბილისში, რომელსაც შემდგომ უკვე მოყვა მეორე ტალღაც დევნილების გამოსახლების, რომელიც გაგრძელდა 2010 წლის ნოემბრიდან- 2011 წლის იანვრის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ გამოსახლების დროს განხორციელდა იძულებით გადაადგილებულ პირების უფლებების შელახვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N 747 ბრძანება - „შესაბამის უფლებამოსილ პირს უშუალოდ გამოსახლების პროცედურის დაწყებამდე ავალდებულებს, რომ სავარაუდო ხელმყოფს მისცეს წერილობითი გაფრთხილება, რომლითაც მას შეეთავაზება სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის ნებაყოფლობითი შეწყვეტა“.

2010 წლის ივლის-აგვისტოში დროებითი საცხოვრებლიდან გამოსახლებულებული დევნილები უკმაყოფილოები იყვნენ და დარღვევებზე საუბრობდნენ, რადგან მათ არ მიუღიათ გაფრთხილების ფორმები, რომელიც საქართველოს შინაგანსაქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის N 747 ბრძანებით დამტკიცდა. გაფრთხილების ფორმები განთავსებული იყო შენობებზე და შენობის ფასადზე, რაც ეწინააღმდეგებოდა მინისტრის ბრძანებულებას. არსებობს ისეთი ფაქტებიც, რდესაც მოხდა გაფრთხილების ფორმის მიტანა უშუალოდ დევნილებთან, თუმცა

გაფრთხილების ფორმაში კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები არ იყო განმარტებული, ასევე გაფრთხილების ფორმას არ ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, არ იყო მითითებული თარიღი და დრო. აქედან გამომდინარე უკვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2010 წლის 2 აგვისტოს N 698 ბრძანებით ცვლილებები განხორციელდა და გაუქმდა N 747 ბრძანება, თუმცა დევნილი მოსახლეობა ახალი N 698 ბრძანების შესახებ ინფორმირებულნი არ იყვნენ. ასევე არ ფლობდნენ ინფორმაციას, რომ გაფრთხილების ფორმის მიღებიდან დროებით თავშესაფარს ნებაყოფლობით ტოვებდნენ5 დღის ვადაში, ახალი ბძანებულებით კი გამოსახლება განხორციელდა მე-2 დღესვე ყოველგვარი ვადების გარეშე, რამაც პრობლემები შეუქმნა დევნილ მოსახლეობას. როდესაც დევნილების გამოსახლების პირველი ტალღა დაიწყო 2010 წელს დევნილი მოსახლეობა რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დადგა:

- რეგიონებში შეთავაზებული საცხოვრებელი ფართების არასათანადო პირობების არსებობა;
- დევნილი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავშესაფრის გარეშე დარჩა;
- საკომპენსაციო თანხების გაუცემლობა.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო" გამოსახლებულ დევნილებს სთავაზობდა საცხოვრებელ ფართებს ისეთ ადგილას, სადაც შეუძლებელი იყო ცხოვრება და არ იყო სათანადო პირობები. ერთ-ერთ შეთავაზება იყო დევნილებისთვის, რომ წალენჯიხის რაიონის სოფელ ფოცხო-ეწერში დაბინავებულიყვნენ, რამაც დევნილების უკმაყოფილება და დაპირისპირება გამოიწვია და დევნილების დიდი ნაწილი არ დასთანხმდა აღნიშნულ შეთავაზებას და საცხოვრებელ ფართს. დევნილთა ის ნაწილი, რომელიც დასთანხმდა სამინისტროს მიერ შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართს სოფელ ფოცხო-ეწერში დროთა განმავლობაში ისევ დატოვეს აღნიშნული სოფლები და ისევ თბილისში დაბრუნდნენ, რადგან არ იყო შესაბამისი პირობები. მათ აწუხებდათ:

- ეკონომიკური და სოციალური პრობლემები;
- ადგილზე ვერ საქმდებოდნენ;

- არ ჰქონდათ მიწის ნაკვეთები;
- პრობლემა ჰქონდათ, როგორც სამედიცინო, ასევე განათლების მხრივაც, ამიტომ იძულებულები იყვნენ სოფელი დაეტოვებინათ;
- ასევე პრობლემები შეიქმნა საცხოვრებელ ფართებზეც, რადგან სათანადოდ არ იყო რეაბილიტირებული.

დევნილი მოსახლეობის გამოსახლების მეორე ტალღაც 2010 წელს დაიწყო და იძულებით გადაადგილებულ პირთა- დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფოს „სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭო" მიღო ბრძანება, რომელიც ეხება - „იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურის" (სოპ) მიღებას, ეს აუცილებელი იყო, რადგან დევნილი მოსახლეობის გამოსახლების პირველ ტალღას ბევრი ხარვეზები და პრობლემები მოჰყვა და დევნილებს უფრო გაურთულა ეკონომიკური, სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები. სოპ-ს ევალებოდა დაკვირვებოდა დევნილი მოსახლეობის გამოსახლებას და სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცედურებს. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგულებულ პირთა, განსახლებისა და ტოლვილთა სამინისტრო" - ს დაევალა გამოსასახლებელ შენობასთან დაკავშირებით განეხორციელებინა: შენობაში, სადაც მოხდებოდა დევნილების შესახლება, გარკვეულიყო შენობის სტატუსი, ცხოვრობდნენ თუ არა აღნიშნულ შენობაში სხვა სტატუსის მატარებელი პირები, რათა დევნილის სტატუსის მინიჭება და განსახლება მომხდარიყო სპეციალური დაცვის რეჟიმში. შემდგომში საჭირო იყო შეეფასებინათ დევნილთა ინდივიდუალური მონაცემები, რათა დაცული ყოფილიყო მათი უფლებები შესახლება/განსახლების პროცესში. რათა დევნილების უსახლკაროდ დარჩენის საფრთხე არ გამოვლენილიყო ან კუთვნილი ნივთების გადატანის პროცესი არ შეფერხებულიყო.

იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში

გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურის მიღების შემდეგ, გამოიკვეთა 22 საცხოვრებელი ობიექტი, საიდანაც უნდა მომხდარიყო დევნილი მოსახლეობის გამოსახლება, მაგრამ 20 საცხოვრებელი შენობიდან მოხდა მხოლოდ დევნილების გამოსახლება. ამის მიუხედავად მაინც ვერ განხორციელდა სოპ-ის ძირითადი მიზანი, რომელიც ითვალისწინებდა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფას. ამჟამადაც დაირღვა დევნილების უფლებები, კონკრეტულად კი 10 დღიანი ვადები, რომელიც საკომპენსაციო თანხის მიღებას ეხებოდა და 10 დღით ადრე გამოსახლების უფლება არ ჰქონდათ დევნილების, ამის გარდა იგივე პრობლემებმა იჩინა თავი,რაც იყო გამოსახლების პირველ ეტაპზე.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგულებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო“ - ს ინფორმაციით გამოსახლებული 1666 ოჯახი იყო 2010 წლის ივნისიდან 2011 წლის იანვრის ჩათვლით, ანუ გამოსახლების პირველი ტალღიდან, მეორე ტალღამდე, აქედან:

- 450 ოჯახი დკმაყოფილებული იყო სხვა საცხოვრებელი ფართით;
- კომპენსაცია აიღოო - 440 ოჯახმა;
- 418 - იყო არა დევნილი ოჯახი;
- ხოლო კერძო სექტორში დარეგისტრირებული იყო 79 ოჯახი;
- სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ალტერნატივას დასთანხმდა - 76 ოჯახი;
- უარი განაცხადა - 203 ოჯახმა.

სამინისტრო სხვა საცხოვრებელ ფართში გულისხმობდა, ასევე იმ პირებსაც, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ კომპაქტურად დასახლებულ საცხოვრებელ ფართებში და რეალურად საცხოვრებელი ფართი არ გააჩნდათ. ამასთანავე სახელმწიფოსგანაც არ იყო შეთავაზება საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილის შესახებ“ კონკრეტულად არ განსაზღვრავს იმ პირობებს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საცხოვრებელი ფართის გადაცემა დევნილისათვის, არ არის გაწერილი ის გარემოება, რომლის დაცვითაც უნდა მოხდეს ფართის

ადგილმდებარეობის განსაზღვრა. კანონში მხოლოდ გაწერილია განმარტება, რომლის მიხედვითაც საცხოვრებელი ფართის გადაცემისას არ უნდა მოხდეს საცხოვრებელი პირობების გაუარესება.[5]

## თავი 3. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკა

[5]https://gyla.ge/files/news/gamocemebi2012-სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა მიმართ - ხარვეზების ანალიზი

## 3.1 დევნილთა გრძელვადიანი განსახლება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2012 წლის ოქტომბრის მონაცემებით დევნილი მოსახლეობა უკანონოდ შესახლდა სახელმწიფოს საკუთრებაში მქონე არსებულ ობიექტებში, რადგან სახელმწიფო არ უქმნიდა შესაბამის პირობებს და არ გამოუყო მოწესრიგებული საცხოვრებელიფართები.აღნიშნული პრობლემების გამო, 2012 წლის ოქტომბრის თვეში დევნილი მოსახლეობა 60 ობიექტში შეიჭრა, რაც დევნილი მოსახლეობის 6000-ს შეადგენდა. დევნილებს განიხილავდნენ: დაუმორჩილებელ, აგრესიულ და ხელისუფლების მიმართ არაკეთილგანწყობილ პირებად.აღნიშნული ფაქტების აღმოსაფხვრელად დევნილთა სამინისტრომ დააწესა დევნილთა შეხვედრის დღეები და დევნილებს მისცა შესაძლებლობა გამოვლენილი პრობლემების და სოციალური მდგომარეობის შესახებ პირადათ ეთქვათ„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგულებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო“ - ს მინისტრისთვის და მოადგილეებისთვის. 2012 წლის ბოლოსთვის დევნილ მოსახლეობას აწუხებდა მნიშვნელოვანი პრობლემები:

- გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართების არ არსებობა;
- დასაქმება და შემოსავლის არასაკმარისი რაოდენობა;
- ფსიქიკური, ფსიქოლოგიური და ჯანმრთელობის პრობლემები;
- განათლების პრობლემა.

სამინისტროს მონაცემებით 2012 წლის ბოლოსთვის 90000 დევნილი ოჯახიდან გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებული იყო 23973 ოჯახი. 5155 ოჯახს საცხოვრებელი ბინის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია ჰქონდა აღებული. მიუხედავად ამისა, 58575 ოჯახი საცხოვრებელი ფართით არ იყო უზრუნველყოფილი და აქედან 35000 - ზე მეტი დევნილი ოჯახი საცხოვრებელი ფართის არ არსებობას მწვავედ განიცდიდა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ბიუჯეტი 25 მილიონი ლარის ნაცვლად გახადა 50 მილიონი ლარი და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით კიდე 1441 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა. საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2012 წლის ბოლო მონაცემებით სახელმწიფომ რეაბილიტაცია ჩაუტარა ობიექტებს და ბინებს და ასევე შეისყიდა და გამოისყიდა სახლები და ბინები დევნილი მოსახლეობისთვის.

| რეგიონი | რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა | რეაბილიტირებული ბინების რაოდენობა | შესყიდული სახლების რაოდენობა | გამოსყიდული ბინების რაოდენობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 275 | 24 | 94 | 93 |
| ქვემო ქართლი | 4 | 182 | 20 | 0 | 02 |
| სამეგრელო-ზემოსვანეთი | 1 | 107 | 16 | 0 | 23 |
| აჭარა | 1 | 51 | 0 | 0 | 1 |
| იმერეთი | 14 | 525 | 7 | 0 | 32 |
| შიდაქართლი | 4 | 133 | 3 | 0 | 36 |
| კახეთი | 1 | 4 | 0 | 0 | |
| სულ | 30 | 1277 | 70 | 94 | 441 |

სახელმწიფომ დევნილი მოსახლეობისთვის შეისყიდა სოფლებში საკარმიდამო ნაკვეთები და ინდივიდუალური სახლები:

| რეგიონი | 2012 წელი | 2013 წელი |
|---|---|---|
| თბილისი | 0 | 24 |
| კახეთი | 0 | 6 |
| ქვემო ქართლი | 0 | 14 |
| სამეგრელო | 0 | 16 |
| გურია | 0 | 1 |
| იმერეთი | 0 | 5 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 0 | 1 |
| შიდა ქართლი | 0 | 3 |
| სულ | 0 | 70 |

სახელმწიფომ დევნილი მოსახლეობისთვის კერძო მესაკუთრეებისაგან კოლექტიური ცენტრები გამოისყიდა რამდენიმე ადგილას:

| წელი | ობიექტი | მისამართი | ოჯახი | თანხა აშშ დოლარში |
|---|---|---|---|---|
| 2012 | 0 | | 0 | 0 |
| 2013 | ს/ს „ქექნოსერვიზი“ | თბილის, თ.ერისთავის ჩიხ. N1 | 21 | 210000 |
| | ს/ს „ავტომომარაგება“ | თბილისი, ბ.ჭიჭინაძის | 27 | 152825 |
| | ს/ს „კარტოგრაფიის“ | თბილისი. მოსულიშვილის ქ. N 1 | 46 | 419647,5 |
| სულ | | | 94 | 782472.5 |

## 3.2 დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი და კრიტერიუმები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მინისტრმა 2013 წლის 9აგვისტოს №320ბრძანებით გამოსცა დებულება, რომელიც ეხებოდა-„დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“. ბრძანების მიღება და გამოცემა აუცილებელი იყო, რადგან მანამდე არ არსებობდა რაიმე დოკუმენტი, რომელიც დარეგულირებდა დევნილი ოჯახების განსახლების წესს და ნორმას, თუ რა კრიტერიუმებით ხდებოდა დევნილი ოჯახების დაკმაყოფილება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით.

დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესს არეგულირებს აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტი, რომელიც ადგენს დევნილი მოსახლეობისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის წესს, კრიტერიუმებს, საცხოვრებელი ფართების განაწილების და საცხოვრებელი ფართების წეეს და სტანდარტებს.

დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცედურა რეგულირდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9აგვისტოს №320ბრძანების 3 მუხლით, რომელიც მოიცავს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებას და განსაზღვრავს მიღების წესსა და ნორმებს.

